ოთხშაბათი, 21 თებერვალი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 39

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახებს ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით მასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ".

**მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ისარი**

გაზეთი ღირს:

| ერთის წლით: | | ნახევარის წლით: | | ერთის თვით: | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში | 6 მ. 50 კ. | ტფილისში | 4 მ. — კ. | ტფილისში | — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარეთ | 7 „ — „ | ტფილისს გარეთ | 4 „ 50 „ | ტფილისს გარეთ | — „ 80 „ |
| საზღვარ-გარეთ | 12 „ — „ | საზღვარ-გარეთ | 6 „ — „ | საზღვარ-გარეთ | 1 „ 50 „ |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

**ხელის მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სასახლის ქ.). **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). **ბათუმში**—ხომერიკთან, ჭოროხში. **ფოთში**—პლ. ლექავასთან. **თელავში**—ივ. პაატაშვილთან. **ჭიათურაში:** სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის კანკში. **ზაქფში:** გიორგი ჩხეიძესთან (პინჯარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ».**

**ქვრივი ნინა ივანეს ასული, ვენედიქტე, გრიშა და შურა გერასიმეს ძენი ლორიები, ივანე ვასილის ძე და ანდრია და ისაკ ივანეს ძენი კობიძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ძვირფას მეუღლის, მეორენი დაუვიწყარის მამის და დანარჩენნი საყვარელ სიძის ბათუმის სობოროს მედავითნის და რეგენტის

**გერასიმე ივანეს ძის ლორიასი**

რომელსაც ჩამოასვენებენ ქ. ტფილისიდან ქ. ბათუმში 21 თებერვალს დღის 12 საათ. დაკრძალვა იქნება ქ. ბათუმში 22 თებერვალს 2 საათზედ განსვენება ბათუმში თავის ბინიდან (ოლგინის ქუჩ-ს კუთხე, რკინის გზის პარალელურ ქუჩასთან, ქალაქის ელექტრონის სადგურის პირველ „პერეეზდის" ზემოდ). (2—557—1)

25 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, **კნ. ეკატერინე სიმონის ასულის შერვაშიძის** გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

**კნ. ბარბარე მერაბ. ასული ანდრონიკაშვილისა.**

იმავე დღეს პანაშვიდი გადახდილ იქნება კუკიის პოლკის ეკკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **თავ. მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძე, კნ. მარიამ არჩილის ასული და თავ. სიმონ გიორგის ძე წერეთლები.** (1—555—1)

**ნამდვილი კახური ღვინო**




**ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი.** (100—26)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ ზედგენიძე-ვანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, ბაკ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—49)

ქალ. სიღნაღში
**ექიმი ა. ა. ბალაშვილი**
1 თებერვლიდან იწყებს ავათმყოფების მიღებას. ნ. მირიანაშვილის სახლში, ფოსტის ქუჩაზედ. (24—509—19)

კბილის ექიმი
**ი. ზ. კანდელაკი**
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—5.—12)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად იმყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 11—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31. სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—9)

**ლაკტო-ბაცილიანი რძე**
მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ
**ა. ს. კლემანსკის**
ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ტელეფონი № 389. (100—51—77)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**სახსრ და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლღას ქუჩა, № 25. (0—40)

**წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა**
აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1906 წლის საზოგადო კრებამ **საწევრო გადასახადი** დააწესა

**სამი მანეთი.**

ამასთან ამავე კრებამ დაადგინა, დაემატოს „საზოგადოების" წესდებას ახალი მუხლი: „წევრობა ჩამოერთმევა იმ წევრს, რომელსაც ერთი წლის გადასახადი არ ექნება შემოტანილი და იგი ხელახლა იქნება მიღებული წევრად უკენჭოდ, როცა სრულად გადიხდის მაზე დარჩენილს საწევრო ფულს".

ამ მუხლის ძალით, ვინც ამ 1907 წლის განმავლობაში არ შემოიტანს საწევრო ფულს, ის 1908 წლის პირველ იანვრიდან გამორიცხული იქნება წევრობიდან.

გამგეობა აუწყებს ამასვე „საზოგადოების" აგენტებს და სთხოვს მათ, მოაგონონ წევრებს საზოგადო კრების დადგენილება და თავის დროზე შემოატანინონ საწევრო გადასახადი.

გამგეობას იმედი აქვს, რომ, რა-კი საწევრო გადასახადი შემცირდა, არავის გაუძნელდება მისი შემოტანა და ყოველი წევრი ეცდება მოაწოდოს თავისი წვლილი „საზოგადოებას", მით უმეტეს, რომ უკანასკნელ დღეს მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფება. (6—უ—3)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ახლად დაარსებული ამხანაგობა
**გამოცდილ**
**ფოტოგრაფებისა**
იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს დილის 10 საათიდან ვიდრე საღამოს 5 საათამდე.
**ადრესი:** მიხაილოვის ქუჩა, № 59, სავადმყოფოს პირდაპირ (1—556—1)

**„რენესანსის" თეატრში**
(ნემეცების ბაღში, მიხეილის პროსპ.).
ოთხშაბათს, 21 თებერვალს. ქართულ დრამატიულ დასის არტისტების ქ-ნ ტასო აბაშიძის და ბ-ნ ა. ადამიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება რუსულად:
**საუბედურო დებიუტი**
1 მოქ. ვოდ.
**ქართულად:**
**ზრდილობა**
1 მოქ. ა. ადამიძისა.
დასასრულ: მუსიკა, ლიტერატურა და ცეკვა.
მონაწილეობას იღებენ: ტ. აბაშიძე, ა. ადამიძე, ბ. ასათიანი, ვ. ადამიძე, შაკო, საფაროვი და სხვ.
**დასაწყისი საღამოს ზუსტ 7 საათზე.**
(1—უ.—1) გამგე შალიკო **ქაქიაშვილი.**

**სახაზინო თეატრი**
შეერთებული ამხანაგობა **არცისევისა, ორკესტრისა, ხორისა და ბალეტისა** სამშაბათს, 20 თებერვალს 1907 წ. გასტროლი გამოჩენილ იტალიელ მომღერლის **ელვინო ვენტურასი შესრულებს**
**მანონ**
ოპერა 4 მოქ. და 6 სურ.
რეჟისორი **ზ. დუნაევსკი.**
ფასი ჩვეულებრივია.
21 თებერვალს ბენეფისი გამოჩენილ მომღერალ ქალის **ბიდა გონზაგოსი ჰამილტო.** ხუთშაბათს, 22 თებერვალს. გასტროლი **ელვინო ვენტურასი** და ბენეფისი **ვ. ა. რაშკოვსკაიასი. პაიაცი და ზელიკაია ჩესტ.**
ფასი მომატებულია.
გამგე ოპერისა ამხ. **ვ. ლ. ურუშაძე.**

**ტფილისი, 21 თებერვალი.**

იყო დრო, როცა ინგლისის სახელმწიფოც ცენტრალიზაციის მოტრფიალე იყო და ადგილობრივ თვით-მართველობას, შორეულ სამფლობელოების ავტონომიას შიშის თვალით უცქეროდა. მწარე ისტორიული გამოცდილება შეიქნა საჭირო, რომ ინგლისის პარლამენტი გონს მოსულიყო და ცენტრალიზაციის უკუღმართ გზისათვის თავი დაენებებინა: ინგლისელ მთავრობისა და მოხელეებისაგან შევიწროვებული და თავმობეზრებული კოლონისტები ჩრდილოეთ ამერიკისა აუჯანყდნენ ინგლისის მეფეს და პარლამენტს და ავტონომიას რომ არ აძლევდნენ, სრული პოლიტიკური დამოკიდებულება შეიძინეს: ჩრდილოეთი ამერიკა სრულიად მოშორდა ინგლისს და ცალკე სახელმწიფო გახდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ აჯანყების გზას დაადგა კანადაც, რომელსაც ინგლისის პარლამენტი განაგებდა ლონდონიდან. ამერიკის მაგალითით ჭკუა ნასწავლი ინგლისი, კანადის დაკარგვის შიშით, დათმობის გზას დაადგა, კანადას სრული თვითმართველობა მიანიჭა და დღეს არავითარი შიში არ არის, რომ კანადა ინგლისს გადაუდგეს და სრული პოლიტიკური დამოკიდებულება მოინდომოს: აღარ არის საგანი ინგლისთან მტრობისა, რაკი კანადელები თავიანთ საქმეებს თვითონვე უძღვებიან და ამაში ხელის შემშლელი არავინ ჰყავს.

ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მაგალითის შემდეგ ინგლისი თამამად დაადგა, ეგრე ვთქვათ, ავტონომიურ პოლიტიკის გზას, იგი ხშირად არც კი უცდიდა მცხოვრებთა მოთხოვნას და თვითონვე ანიჭებდა ავტონომიას, როგორც ეს, მაგალითად, ავსტრალიაში მოხდა.

კანადას, კაპის ახალშენსა და ავსტრალიის ფედერაციას წელს ტრანსვაალიც მიემატა. სამინელ სისხლის ღვრით დამორჩილებული ტრანსვაალი დღეს თავისუფალი ავტონომიური სახელმწიფოა: თავისუფლად ამოირჩია წარმომადგენლები საკუთარის პარლამენტისათვის და გენერალი ბოტა, რომელიც ასეთის თავგანწირვით ებრძოდა ინგლისის ჯარებს და იცავდა ტრანსვაალის დამოუკიდებლობას, ტრანსვაალის პირველი მინისტრი იქნება და ყველაფერი ეს ხდება ინგლისის პარლამენტის და მთავრობის სურვილით და თანხმობით. მწარე ისტორიულ გაკვეთილს ტყუილად არ ჩაუვლია ინგლისისათვის; ჭკუა ისწავლა და აჯანყებისა და რევოლიუციების თავიდან ასაცილებლად, ინგლისის ერთობის განსამტკიცებლად ყველგან ავტონომიურ პოლიტიკის გზას დაადგა.

მარტო ირლანდია და ინდოეთი არის დღეს მოკლებული ამ პოლიტიკურ სამართლიანობას; მარტო ეს ქვეყნებია ბრიტანიის დიდ იმპერიაში, რომ თვითონ არ განაგებენ თავიანთ საქმეებს.

ირლანდიის ავტონომიას დიდი და ხანგრძლივი ისტორია აქვს. ირლანდიელ მამულიშვილების თავგანწირულმა ბრძოლამ სამშობლოს განთავისუფლებისათვის თითქო საწადელს მიაღწია ოთხმოციან წლებში. მაგრამ დიდებული გლადსტონის სამაგალითო თავგამოდება ირლანდიის ავტონომიისათვის უნაყოფო შეიქნა: ინგლისის მოვინისტებმა თავისი გაიტანეს და სახელმწიფოს «მთლიანობა» შეურყეველი დასტოვეს. გავიდა თხუთმეტიოდე წელიწადი და უფრო შორს გამჭვრეტი პოლიტიკოსები სწორედ ამ მთლიანობის გულისათვის ისევ გლადსტონის პოლიტიკას დაადგნენ: აღდგომამდე ინგლისის პარლამენტს წარედგინა ირლანდიის ავტონომიის პროექტი. პროექტის განხორციელება ეჭვს გარეშეა, რადგან თვით კონსერვატორებიც კი მზად იყვნენ მიეცათ ირლანდიისათვის დამახინჯებული ავტონომიური წესწყობილება, და აქამდე მტრად გადაკიდებული ირლანდია ისეთივე მეგობარი და მოყვარე გახდება ინგლისისა, როგორც კანადა და ავსტრალიაა.

არც ინდოეთის ავტონომიის განხორციელებაა ძალიან შორს: ამისი თავდებია თვით ინდოელების გამოფხიზლება და მედგრად დაწყებული ბრძოლა თავისუფლებისათვის და ის თანაგრძნობა, რომელიც ამ მოძრაობამ გამოიწვია ინგლისის საზოგადოებაში.

**სახელმწიფო სათათბირო და საბჭო**
(დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტერბურგი.** „17 ოქტომბრის კავშირის" ცენტრალურ კომიტეტის კრებას დაესწრნენ კავშირის დეპუტატები. თავმჯდომარეობდა გუჩკოვი. დაადგინეს: სათათბიროში შეადგინონ 17 ოქტომბრისტების საპარლამენტო ფრაქცია, როგორც ცალკე ჯგუფი. საფრაქციო ბიუროში მოჰყვნენ: ხომიაკოვი, კაპუსტინი, ბოგდატოვი, ვარუნ სეკრეტი, ივანიცკი და გრუდინსკი. კანონ-პროექტების შესამუშავებელ კერძო კომისიაში აირჩიეს ხომიაკოვი, რეინი, ხრუპენსკი, პურიშკევიჩი და გრაფი ბობრინსკი.

შრომის ჯგუფი და სახალხო ბლოკი ყოველ დღიურ გაზეთს აარსებს.
(გაზეთებიდან)

**დეპუტატის დატუსაღება.** რუსეთის პოლიცია კიდევ დიდხანს ვერ შეიგნებს და ვერ შეეგუება დეპუტატის ხელუხლებლობის კანონს, პოლიციის აგენტებს ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება მათ უფლება წაართვან „დამნაშავის" დატუსაღებისა. შარშან ამის გამო რამდენიმე „სამწუხარო ინციდენტი" შეემთხვა პოლიციას, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ უსწავლია. ხარკოვიდან ტელეგრაფით ატყობინებენ პეტერბურგის გაზეთებს, რომ 9 თებერვალს ქ. ჩუგუევში დაუპატიმრებიათ ახლად არჩეული დეპუტატი ლიტვინოვი, მხოლოდ იმიტომ რომ ქუჩაში გლეხები შემოეხვივნენ და მფარველობას სთხოვდნენ. ლიტვინოვმა ურჩია დასწერეთ რა გსურთ და სათათბიროში გამომიგზავნეთო. პოლიციის აგენტებს ეს „დანაშაულობად" ჩაუთვლია და დეპუტატი დაუტუსაღებია. მხოლოდ ენერგიული პროტესტის შემდეგ უმაღლეს ადგილობრივ ადმინისტრაციას გაუნთავისუფლებია დეპუტატი. ესეც ხელუხლებლობა!

**გლეხი-დეპუტატები.** ქალაქ კამენეც-პოდოლსკში, დეპუტატების არჩევნების შემდეგ, გუბერნატორს მიუწვევია გლეხი-დეპუტატები და „დარიგება" მიუცია—მთავრობის პოლიტიკას მხარი უნდა დაუჭიროთო; ბოლოს ურჩევია, ხელმწიფეს უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამომხატველი დეპეშა გაუგზავნეთო. გლეხ-დეპუტატებს უპასუხნიათ, რა პოლიტიკას დავიცავთ—ეს ჩვენი საქმეაო და დეპეშაც არ გაუგზავნიათ.

**„მშრომელთა ჯგუფის" განზრახვა.** კერძო თათბირი იმართება ამ ჟამად პეტერბურგში სათათბიროს დეპუტატ „მშრომელთა ჯგუფისა", რომელთა აზრით სათათბირო უნდა მოერიდოს მთავრობის წინააღმდეგ ცხარე გამოლაშქრებას. „მშრომელნი" „კადეტებთან" შეთანხმებით მოქმედებას აპირებენ. საზოგადოდ-კი მემარცხენეებთან კავშირს „ბლოკს" დაიცავენ. „მშრომელთ" განზრახვა აქვთ სხვა-და-სხვა კანონ-პროექტი შეიმუშაონ და თუ მთავრობა ამ კანონებს სავსებით არ მიიღებს და შეამცირებს, მაინც მიღებული ერთი ნაწილიც მოპოებულ უფლებად ჩააგდონ და სხვა.

**მისალოცი დეპეშა.** გუშინ ტფილისის ყველა გაზეთებმა სახ. სათათბიროს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნეს მისალოცი დეპეშა სათათბიროს გახსნის გამო და უსურვეს ენერგიული და ნაყოფიერი შრომა რუსეთის განახლებისათვის.

## ახალი ამბავი

✦ **ჩრდილოეთ გუბერნიებში გაგზავნა.** ამ დღეებში ქუთაისიდან გამოვიდა მთელი ეტაპი ჩრდილოეთ გუბერნიებში გასაგზავნ პოლიტიკურ ტუსაღებისა. ამ ეტაპით იგზავნებიან: ვიატკის გუბერნიაში: ილარიონ ლომაძე, მირიან ჰანიშვილი, ტროფიმე კილურაძე, ვარლამ ჭყონია, იასონ კიკნაველიძე, გაბრიელ ხომერიკი, ნესტორ ბენდუქიძე, თომა ერმანჯია, ნესტორ სალრაშვილი, იოსებ ახალაძე, ალექსი ადამია, მინა გაბუნია, იაკობ ფრუიძე, ვარლამ ბაბუნაშვილი, ანდრო ყალიჩავა, კალისტრატე ოჩუკავა, პლატონ ნიშნიანიძე, გრიგოლ კილოშვილი, კონდრატი დვალი, ლევანი გაბუნია, ილია თამარაშვილი და სოლომონ თოფურია; ვოლოგდის გუბერნიაში: მელიტონ ფერაძე, თადეოზ კვინიკაძე და იაკინთე მახარაძე; ასტრახანისაში: მელიტონ ცინცაძე და თებო ბაზაშვილი. ორენბურგისაში: იაგორ ლომჯარია და იესე გოლიაძე; ტობოლსკისაში—ვლადიმერ ადამია; ერევნისაში—სერგი მაჭარაძე. სულ ეტაპში 31 კაცია.

✦ **ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფილისში სამხედრო-საველე სამართალში მისცეს: ტფილისელნი კოსტა ევსეევი და სარქის მღებროვი, გორის მაზრის სოფ. სასხორის მცხოვრებნი ქრისტეფორე და გიგო ქიტუაშვილები, იმავე მაზრის სოფ. თხინვალის მცხოვრებნი ტიტო სამხარაძე. ამათ აბრალებენ ოლგას ქუჩაზე პოლიციელის მიხეილ კაჩმარკოვის და კაზაკის ივან ოტრიაკოს მოკვლას; გორის მაზრის სოფ. ცხინვალის მცხოვრები დათიკო ბერიაშვილი და სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახის მცხოვრები ალექსი მუქიშვილი. ამათ აბრალებენ ნ. შავროვის მოკვლის განზრახვას. სამხედრო ოლქის სამართალში მისცეს გორის მაზრის სოფ. დიდ-გუჯარეთის მცხოვრები კობია კოჩიშვილი. ჰბრალდებათ თავდასხმა 1906 წელს 25 სექტემბერს გუჯარეთის ხეობაში ბოქაულსა, სტრაჟნიკებზე და კაზაკებზე, როცა ეს უკანასკნელნი ყაჩაღებს სდევნიდნენ. ვიატკის გუბერნიაში სამის წლით იგზავნებიან ტფილისის მცხოვრებნი გიორგი კუჭაიძე და ვასილ ბუჩუკურიძე. ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა გორის მაზრის სოფ. ტატანაანთ-კარის მცხოვრებს სოფია იოსების ასულ დაბრუნდაშვილს, რომელსაც ჰბრალდება მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა, ფულის დატყუება და სხვა.

✦ **ნამესტნიკის წასვლა.** წუხელ, საღამოს მატარებლით ტფილისიდან პეტერბურგს უნდა წასულიყო კავკ. ნამესტნი-

კი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი. როგორც ამბობენ, ნამესტნიკი პეტერბურგში ორს თვეს დაჰყოფს.

✦ **თავად-აზნაურთა კრება.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ განაგრძო სხდომები 19 და 20 თებერვალს. 19 თებერვალს კრებამ განიხილა ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტის მოხსენება, გიმნაზიისთვის 30,000 მანეთის გადადების შესახებ. კრებამ დაადგინა, ეთხოვოს სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას მიმდინარე სახარჯო თანხიდან მისცეს კომიტეტს 30,000 მან. თუ ვინიცობაა ბანკს ეს ფული არ ექნება, მაშინ შეეცადოს საჭირო წყაროს აღმოჩენას. შემდეგ სხდომაზე კრებამ განიხილა გიმნაზიის გამგე-კომიტეტისავე მოხსენება შენობის დასამთავრებლად საჭირო ფულის გადადების შესახებ. კრებამ დაადგინა, გადაიდოს ამ საქმისათვის 15,000 მან. კრებამ დაადგინა აგრეთვე აირჩიოს განსაკუთრებული კომისია 7 კაცისაგან და დაავალოს გიმნაზიის მთელი შენობის საქმის გაცნობა. შენობა უნდა დასრულდეს მომავალ სამოსწავლო წლის დაწყებისათვის.

✦ **კლასების დაკეტვა და მოსწავლეთა დათხოვნა.** როგორც ამბობენ, 19 თებერვლიდან დაიხურა ტფ. რეალურ სასწავლებლის 5, 6 და 7 კლასები და მოსწავლენი დაითხოვეს. ამ დღეებში შეიკრიბა მშობლებთა წრე, რომელიც ამ საქმის შესახებ მოლაპარაკებს.

✦ **ბიბლიოთეკის დაკეტვა.** ტფ. გ.-გუბერნატორმა ნება დართო გაიხსნას კაიდანოვის სახელობის ბიბლიოთეკა, რომელიც აქამდე დაკეტილი იყო.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 19 თებერვლის კრება მოანდომა წვრილმან საქმეების განხილვას. ორი საათი მოანდომეს გამგეობის დადგენილებას იმის შესახებ, რომ შემცირდეს საიჯარო ფასი კუჩენბახის ქარხნის მახლობლად მდებარე მიწებზე. როგორც გამოირკვა ამ ადგილზე აგურის ქარხანა ჰქონია მოიჯარადრეს საგათელოვს, რომელსაც, წინააღმდეგ ხელშეკრულებისა, 800 საჟენი ადგილი მიუთვისებია საიჯაროდ და მიწა ისე დაუთხრია, რომ სამოსახლოდ არც კი გამოდგება. საბჭომ დაადგინა, აეკრძალოს მოიჯარადრეს მიწის თხრა, ხოლო თუ სხვაგან მოისურვებს ადგილს, მიეცეს იჯარით. სატყეო კომისიის წევრად საბჭომ აირჩია ხმ. სვეშნიკოვი, ხოლო აუქციონისტად—შადინოვი.

✦ **ფულის გატაცება.** როგორც საავენტოს დეპეშა გადმოგვცემს ქუთაისში 18 თებერვალს, ნაშუადღევის ორ საათზე ორ შეიარაღებულ კაცს სათავად-აზნაურო გიმნაზიის საქმის მწარმოებლისათვის 3111 მანეთი წაურთმევია.

✦ **ტფ. სას. სემინარიაში.** ტფ. სასულიერო სემინარიის საპედაგოგიო საბჭომ 15 თებერვლის გაფიცვის გამო დაადგინა, გამორიცხვით არავინ გამოირიცხოს, მხოლოდ გამოეცხადოს მოსწავლეებს გაფრთხილება: თუ შემდეგში გაიმეორეს ასეთი რამ, დათხოვნილი იქმნებიან. ამასთან საბჭომ 8 მოსწავლეს ყოფაქცევაში ცუდი ნიშნები დაუსვა.

✦ **დამშეულთათვის.** 16 თებერვალს ტფ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით საგლეხო საგუბერნიო საკრებულოში მოხდა სხდომა იმის გადასაწყვეტად, თუ რა შემწეობა აღმოუჩინონ ტფ. მაზრის სართიჭალის და ყარაიაზის საბოქაულოების მცხოვრებთ, რომელნიც დიდ გაჭირვებაში არიან. კრებამ დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა ნამესტნიკის წინაშე, რომ საიმპერიო თანხიდან მიეცეთ სესხად სამის წლის ვადით: სართიჭალის საბოქაულოს მცხოვრებთ—82,000 მანეთი, ხოლო ყარაიაზისას—44 600 მანეთი. ეს გამოსაკვებად. გარდა ამისა თესლის სასყიდლად ორსავე საბოქაულოებზე მცხოვრებთათვის თხოულობენ სესხადვე 16,000 მანეთს. რადგან გლეხები დიდ გაჭირვებაში არიან, გუბერნატორი შუამდგომლობს გამოსაკვები ფული ერთის თვისა ეხლავე ტელეგრამით გამოგზავნოს სამინისტრომ.

✦ **რედაქტორი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გუშინ შეატყობინა გუბერნატორს, რომ ქალაქის საბჭოს თვიურ გამოცემის პასუხის მგებელ რედაქტორად იქნება საბჭოს მდივანი სტ. ჭრელაშვილი.

✦ **„ვაკე“.** კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო ტფ. ქალაქის საბჭოს, შეიტანონ „ვაკე“ ქალაქის საზღვრებში.

✦ **თელავის მაზრის სოფელ ალავერდის მცხოვრებთა შუამდგომლობა აღუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ მიეცეთ ნადელად თავისუფალი სახემწიფო სახნავ-სათესი და საბალახო მიწები.**

✦ აბასთუმნის ბოქაული თავ. ხერხეულიძე დაინიშნა კობლიანის ბოქაულად. აბასთუმნის ბოქაულად დაინიშნა თავ. თარხნიშვილი.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით ნება მოგვცეთ გამოვაცხადოთ შემდეგი: მე ვეყავ დავალებული ი. ევდოშვილისაგან მომეგროვებინა ფული და კიდეც შევაგროვე 30 მანეთი. ეს ფული არ დასჭირდა ი. ევდოშვილს და უკანვე უბრუნებთ, ვინც რამდენი მოგვცა. ი. ასათიანი“.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ პეტერბურგის სატეხნიკო საზოგადოების მიერ შემუშავებული პროექტი ჰიდრავლიკურ სადგურისა ქუთაისში ქალაქის გამგეობამ გადასცა განსახილველად ტფილისის ტრამვაის დირექტორს, რომელმაც აღუთქვა, ამ თვის დამლევამდე წარმოგიდგენთ ჩვენის შენიშვნებითაო.

✦ ს. კულაშში ეკზეკუცია იყო ჩაყენებული იმის გამო, რომ იქ ადგილობრივი ეკლესია გაძარცვეს. მისვლისათანავე მოითხოვეს, დაესახელებინათ ეკლესიის გამძარცველნი. ხალხი მეტად აღელვებული იყო ეკლესიის გაძარცვით და რამდენიმე კაცი დაასახელა. ამის შემდეგ კულაშიდან წავიდა ჯარი, რომელსაც უფროსობდა თავ. ამილახვარი.

✦ თოვლის მიერ გაფუჭებული ტელეფონი დღესაც არა მოქმედებს, თუმცა ამ ბოლო დროს გაჩაღებული მუშაობაა ტელეფონის აღსადგენად და იმედიცა აქვთ, რომ ამ თვის დამლევამდე ტელეფონის მოქმედება სავსებით განახლდება.

✦ რკინის გზის გამგეობასთან შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დიდი ხანია გამართული აქვს მოლაპარაკება, რომ მადნის პლატფორმები ღამ-ღამეობით ელექტრონის სინათლით იყოს განათებული ენერგიას აძლევს მრეწველთა საბჭო მარტო იმ მოსაზრებით, რომ შავი ქვის დატვირთვის საქმე ღამ-ღამეობითაც მოეწყოს და რაღა ლაპარაკი უნდა, საბჭოს ამ საქმიდან არაფრის მოგება არ უნდა. ასე არ შეხედა საქმეს რკინის გზის გამგეობამ, რომელმაც ნამდვილი ბაზაზური ვაჭრობა გამართა საბჭოსთან, რამაც ეს ფრიად საჭირო საქმე მეტად გააჭიანურა. ეხლა, როგორც გავიგეთ, რკინის გზის გამგეობას თანხმობა განუცხადებია მრეწველთა საბჭოს პირობებზე. ვაგონების დატვირთვა ღამ-ღამეობით მოეწყობა. საქმის მცოდნეთა სიტყვით, ეს გაჩქარება იმდენად გააცხოველებს საქმეს, რომ ყოველ დღიურად 50 ვაგონით მეტი შავი ქვა წავა ჭიათურიდან ფოთში.

✦ ამას წინად გაცნობეთ, რომ გზის დარაჯის ჩვენებით რამდენიმე კაცი დააპატიმრეს და ქუთაისის საპატიმროში გაგზავნეს შორაპნის მაზრიდგან, რადგან მათ ფოსტის ვაგონის ვითომ გაძარცვაში ედოთ მონაწილეობა (ჭიათურის შტოზე). ეხლა, როგორც ამბობენ, შეპყრობილი ხალხი სამხედრო საველე სამართალში მისცეს და მათი გასამართლება მოხდება 22 ამ თვეს.

✦ საოფლე ქუთაისის საპატიმროში დღით დღე ვრცელდება. ამ ჟამად 30 ავადმყოფია და რადგან შეუძლებელი გახდა ტუსაღთა რაოდენობის შემცირება ახალ ბინის დაქირავებით ან სხვა სატუსაღოში გადაყვანით, გუბერნატორს შესაძლებლად უცვნია ადმინისტრატიულ წესით შეპყრობილ ტუსაღთაგან 20 კაცის განთავისუფლება.

✦ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის იმ მოხელეებს, რომელთაც ჰბრალდებათ მონაწილეობა შარშანდელ გაფიცვაში და ამის გამო სამსახურიდან არიან გადაყენებულნი, შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნიათ პალატის პროკურორისა, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა და მის თანაშემწისათვის: „წელიწადზე მეტია სამართალში ვართ მიცემულნი და ამავე დროს ქუთაისიდან წასვლა არ შეგვიძლია სამსახურიდან დათხოვნისა და უსახსრობის გამო. ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ მოგმართოთ თხოვნით რომ ჩვენ საქმეს როგორმე ბოლო მოეღოს რომ თავი დავაღწიოთ მაინც ჩვენთვის აუტანელ სარგებლის ძიებას იმ ფულში რომელიც შეტანილია ჩვენდა სათავდებოდ“.

✦ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი მაკაროვი უიმედოდ არის ავად.

✦ გუბერნატორს უცნობებია ქალაქის გამგეობისათვის რომ კათოლიკების მოედანს, ადგილობრივ მცხოვრებლებისა და პოლიციის მოწმობით მეტად ავიწროვებენ ბაზრობის დღეს შეშის და შენობის მასალის ურმები და ამიტომ ურმების გასაჩერებლად სხვა ადგილი მოძებნეთო.

✦ გაბრიელის სახელობაზე დაარსებულმა ბიბლიოთეკის გამგემ ქ-მა ელენე ჯონოვისამ კარგა ხანია, განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომ ქალაქს ადგილი მიეცა მისთვის ბიბლიოთეკის ასაშენებლად კათოლიკეთა მოედანზე სადაც ეხლა ისყიდება შეშა და ხის მასალა. ქ-ნ ჯონოვის თხოვნა ქალაქის გამგეობამ თავის დროზე არ მოახსენა საბჭოს და ძლივს ძლივობით ეხლა შეიტანა განსახილველ საქმეთა სიაში. [illegible] გვაქვს, რომ ხმოსნები ყურადღებით მოეკიდებიან ამ თხოვნას და თუ კათოლიკეთა მოედანზე ადგილის მიცემა არ შეიძლება, მაშინ სხვა ადგილი მისცენ. შენობის ასაგებად საჭირო ფულის უმეტესი ნაწილი უკვე შეგროვილი ყოფილა.

✦ გუბერნატორმა თავად-აზნაურთა წინამძღოლს საგანგებო კრების მოწვევის ნება არ დართო.

✦ ქალაქის სამკურნალო კომისიამ საბოლოოდ იქონია მსჯელობა საავადმყოფოს აშენების შესახებ და ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, რომ საავადმყოფო აშენდეს სალორიაში. ამნაირად, კომისია დაუბრუნდა ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებას. ნუ თუ ღირდა ამისთვის საქმის რამდენისამე თვით შეჩერება და საფუძველს მოკლებული და გაუთავებელი ლაპარაკი?!

✦ ოდესღაც ქუთაისში მოქმედებდა სამკურნალო საზოგადოება, მაგრამ მისი მოღვაწეობა იმდენ ხანს შესჩერდა, რომ ყველას ეგონა საზოგადოებამ სული განუტევაო. თურმე ნუ იტყვით, საზოგადოება კიდევ არსებობს და ნიშნად თავის სიცოცხლისა 17 ამ თვეს კრებაც მოახდინა, რომელმაც ჯერ განიხილა ექიმ როდზევიჩის მოხსენება სანიტარულ საგნის შესახებ, მერე მოისმინა 1905 და 1906 წლების ანგარიში და დასასრულ აირჩია გამგეობა. თავმჯდომარედ ხმის უმეტესობით [illegible] როდზევიჩი, იმის ამხანაგად—ექ. ხეჩინოვი, მდივნად—ს. [illegible] ტერტეროვი, ხაზინადრად—ვ. ვ. ბაქრაძე და ბიბლიოტეკარად—გ. ი. გოკიელოვა. კრებას თავმჯდომარეობდა ექიმი დიმ. ალ. ნაზაროვი, რომელმაც წინადადება მისცა კრებას, თავისი აზრი გამოეთქვა ქალაქის საავადმყოფოს ადგილის არჩევის შესახებ. კრებამ შესაძლებლად ვერა სცნო უმასალოდ ამ საგანზე ბჭობა, ამასთან ერთმა განაცხადა, რომ თუ დაგვეკითხება ქალაქი, საკითხს შევისწავლით და შემდეგში ჩვენს აზრს გამოვთქვამთო.

✦ მას აქეთ, რაც გამოცხადდა, რომ დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობამ მთავრობისაგან 80,000 მანეთი მიიღო და მოსალოდნელია, რომ წარსულისა და მიმდინარე წლებისას 40,000 მანეთსაც მიიღებსო, სადეპუტატო საკრებულოში შეტანილ იქმნა 200-ზე მეტი თხოვნა სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობას განუზრახავს საბჭოს თანხმობით შუამდგომლობის აღძვრა, რომ ქალაქი 10 წლის ვადით მთავრობამ გაანთავისუფლოს პოლიციის შესანახ გადასახადისაგან და აგრეთვე ჩამოაშოროს ის ვალი, რომელიც ქალაქს ადევს ამ საგნისთვის.

## პროვინციის ცხოვრება

**ყარსი.** აქაურ ქართველების პატარა წრემ გადასწყვიტა გამართოს 2 მარტს ქართული საღამო. საღამოს პროგრამა უკვე შემუშავებულია და კიდევაც შეუდგნენ საკონცერტო განყოფილების მზადებას. მომზადება ხოროსი, რომელშიაც ორმოცი ქალ-ვაჟი იღებს მონაწილეობას, იკისრა ბ-ნმა მრევლიშვილმა. ქართული საღამო ყარსში პირველი საქმეა და ამისათვის უეჭველია ყველა აქაური ქართველობა მხნედ მოჰკიდებს ხელს, მაგრამ მარტო ეს ერთი მუჭა ხალხი ვერას გახდება, თუ ყარსის ახლო-მახლო მდებარე ქალაქების ქართველობამაც არ დაუჭირა მხარი. საღამოს შემოსავალი დანიშნულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საღამოს მოწყობაში მხურვალე მონაწილეობას იღებს ქართველებთან ერთად მრავალი რუს-პოლონელიც.

მექი.

**თელავი.** მკითხველს ეხსომება, რომ ქალაქის თვითმართველობის ხმოსნები ახლად არიან არჩეულნი ოთხი წლის ვადით. მართალია, თვითმართველობა უკეთეს ელემენტებისაგან შესდგება, მაგრამ ზოგს ეხ-

# ფელეტონი

არ ახალია,—ძველია

**ეკონომიური მატერიალიზმი.**

III *)

ავიღოთ შემდეგ სარწმუნოება, ანუ „რელიგია“; ვიხმაროთ ეს საერთაშორისო ტერმინი, რომელიც უფრო ვრცლად გამოჰხატავს ჩვენს აზრს.

რამდენიც არ ეცადნენ სხვა და სხვა სკოლის სოციოლოგები და ფილოსოფოსები დაემცირებინათ მისი როლი ისტორიაში, დაეპატარავებინათ სიდიდე იმის ძალისა, რომელსაც საშინელი და მძლავრი გავლენა ჰქონდა ადამიანის აზროვნების ცვალებადობის პროცესზედ და, საერთოდ, ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაზედ,—მათ მაინც ვერ დაამტკიცეს მისი სისუსტე, როგორც „მეორე ხარისხოვან ფაქტორისა“.

წარმოშობილი ადამიანის სულისა და გარემოცულ წრის ურთი-ერთ შორის განწყობილებისაგან, შემდეგ ყოველ ისტორიულ ეპოქაში შეგუებული მთელ საზოგადოებრივ წყობილებასთან და აგრეთვე მასზედ მძლავრად ზედ მომქმედი, მიზეზი მრავალგვარ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენისა და აგრეთვე შედეგი მათის ტრანსფორმაციისა,—რელიგია ყოველთვის იყო ერთი დიდი, დამოუკიდებელი ძალა ადამიანის საზოგადოებათა განვითარებაში და ისტორიულ ჟამთა ვითარების უკუღმართობაში, და მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ცივილიზაცია მეცნიერებისა და გამოგონებათა ცივილიზაციაა, ცივილიზაცია იმ ძალთა შეგნებისა და განზომისა, რომელთა შეუგნებლობამა და განუზომლობამაც შეაქმნევინა ადამიანის აზროვნებას თვით ეს რელიგია,—ეს უკანასკნელი დღესაც უდიდეს სიდიდეს წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებრივ ძალთა საერთო ჯამში და საურთი-ერთო განწყობილებაში. ხან და ხან თვით სოციალისტებიც ვერ განთავისუფლებულან იმის ძლიერ კლანჭებისაგან.

ძირი რელიგიის წარმოშობისა, როგორც სხვა სოციალურ ძალთა, იმყოფება აგრეთვე A-სა და B-ს ურთი-ერთ მოქმედებაში. გარეშე ენერგიები მოქმედებენ ცხოველსა და ადამიანზედ. ისინი მოქმედებენ ადამიანის ყველა ორგანოზედ, და ცხოველიც და ადამიანიც თავის ფუნქციათა მრავალ ფეროვანების მიხედვით გამოჰხატავს წრის მოქმედებას მასზედ თავიანთის რეაქციით. მაგალითად, გეოგრაფიული წრე მოქმედებს ადამიანის მთელს სხეულზედ, მისი სხეულიც და მისი ორგანოებიც ეგუება **საერთოდ** გარემოცულ გეოგრაფიულ წრეს. იგივე წრე მოქმედებს კერძოდ მის ნერვიულ სისტემაზედ, მისი ნერვიული ენერგია მრავალ ფეროვანად გამოჰხატავს მრავალ ფეროვანის მუშაობით იმ გავლენას, რომელიც მაზედ იქონია გარეშე ენერგიამ: მაგალითად, იგი იგონებს სხვა და სხვა წესს გარეშე ენერგიათა სასარგებლოდ გამოყენებისათვის, რამდენადაც განსაზღვრულ პირობებში აუცილებელია ორგანიზმისა და სახის შენახვა არსებობისათვის ბრძოლაში; მაგრამ იმის ნერვიულ ენერგიის რეაქცია გარეშე წრეზედ მარტო ამაში არ გამოიხატება; იმ ენერგეტიულ პროცესებში, რომელიც განუყოფელია მის ჰსიხიურ პროცესებისაგან, იბადება მისი პირადი განწყობილება გარეშე ენერგიასთან, შემდეგ კი უფრო განვითარებულ ჰსიხიურ არსების მქონე ადამიანში ჩნდება სურვილი, მისწრაფება ამ ენერგიის ხასიათის შეგნებისა, სურვილი იმ მიზეზობრივ კავშირის მონახვისა, რომელსაც ადამიანი ამჩნევს სხვა და სხვა მოვლენათა შორის, აგრეთვე თავის თავსა, თავის სულიერ მდგომარეობასა და გარეშე მოვლენათა შორის.

ადამიანი არც ამ შემთხვევაშია ცხოველებისაგან განსაკუთრებული არსება. ცხოველის ნერვიულ ენერგიაზედ მომქმედი გარეშე ენერგია და მის ნერვიულ ენერგიის შესაფერი რეაქცია აგრეთვე ჰბადებს მასში ისეთ გრძნობებს, რომელნიც ძლიერ ემსგავსებიან ადამიანის რელიგიოზურ გრძნობას.

დარვინის აზრით, განსაზღვრულ სახის ცხოველთა ურთი-ერთი განწყობილება, რომლიდანაც სჩანს, რომ ისინი ერთმანეთს თანასწორათ უყურებენ და კიდევაც უხარიანთ ერთმანეთთან ბუნებრივი კავშირი, სრულიად არა ჰგავს იმავე ცხოველის განწყობილებას ადამიანთან ან სხვა რომელსამე საშიშ ან საკვირველ მოვლენასთან. დარვინს მოჰყავს ბრაუბახის აზრი, რომელიც ამტკიცებს რომ, მაგალითად, ძაღლი ადამიანს ღმერთივით შეჰყურებსო. დარვინისავე ცდა ამტკიცებს, რომ ძაღლს შეუძლია რომელიმე მოძრავი საგანი მიიღოს რაღაც უცნაურ ცოცხალ არსებად. თვით დარვინის ძაღლს მოძრავი ქოლგა მოეჩვენა ამ გვარ არსებად. საზოგადოდ, დარვინი იმ აზრისაა, რომ ჩვენი ცრუმორწმუნეობანი შეგვიძლია შევადაროთ ცხოველთა **ინსტინქტების** შემთხვევით **შეცდომათაო**.[1] მაგრამ ამ ინსტიქტთა შეცდომაშია თესლი რელიგიის წარმოშობისა, რომელიც ადამიანთა შორის განვითარდა.

მოუსმინოთ მეორე მწერალს, ელიზე რეკლიუს, რას ამბობს იგი ცხოველთა რელიგიაზედ: „საკმარისია დავაკვირდეთ იმ ცხოველებს, რომელთა შორის ჩვენა ვცხოვრობთ, რომ შევნიშნოთ მათში იგივე რელიგიოზური გრძნობანი, რომელთაც ვამჩნევთ ადამიანში; მართალია, ცხოველებს ენა არა აქვთ, რომ გამოსთქვან თავიანთი გრძნობანი, მაგრამ მათის სხეულის მოძრაობა, ჟესტები, გამომეტყველება, ათასნაირი ინტონაცია ხმისა და მისტერიული თრთოლა,—ყოველივე ეს ძლიერ კარგად გვაგებინებს მათ გრძნობასა და აზრებს. შემჩნეულია, რომ „ადამიანის კანდიდატთა“ შორის, კატა, ძაღლი და სხვა შინაური ცხოველები იმჩნევენ იმავე შიშს, რომლითაც არის შეპყრობილი ადამიანი, ოჯახის უფროსი: რელიგიოზური არსნი, როგორც ადამიანი, თრთიან ამ საიდუმლოების წინაშე, მათი წარმოდგენა ჰქმნის ფანტომებს, ისინი სცდილობენ, შედეგის მიზეზნი მონახონ, მაგრამ ვერ ძალ-უძთ ახსნან მომხდარი მოვლენა და საშინელებას წარმოიდგენენ ხოლმე“.

„აგრეთვე შეუნიშნავთ ცხოველთა შორის მათი უცნაური სიყვარული ამ საგანთადმი, რომელთაც არავითარი პრაქტიკული სარგებლობა არ მოაქვთ მათთვის. ცხოველთათვის ეს ისეთივე ფეტიშია, როგორიც ნევრებს აქვთ, ბოლოს, ის სიყვარულიც ხომ ცნობილია, რომელიც ცხოველებს აქვთ ადამიანისადმი, და რომელიც იწვევს ისეთსავე თაყვანისცემას, როგორსაც ჩვენ ვაგებთ ხოლმე ჩვენის ღვთაების საგანთა.“

„ძირითადად რომ გავარჩიოთ საგანი,—ყველა რელიგიას, როგორც ცხოველთა, ისე კაცისასაც, ყველა კულტს, როგორადაც უნდა განირჩეოდენ ესენი ერთმანეთისაგან და მტერობდნენ ერთმანეთს,—ყველას აქვს ერთი ძირი წარმოშობისა, ყველანი პარალელურად ვითარდებიან. თვითეული ადამიანი, რომელიც გატაცებულია ცხოვრების ტალღებით და რომელსაც სურს თავისი ინდივიდუალური ძალა მაინც დაიცვას და განავითაროს, ეძებს გარეშე ბუნებაში მფარველს, რომ დაიმშვიდოს გული იმის შემპყრობელ შიშისაგან, აიცდინოს თავიდან განსაცდელი, განახორციელოს თავისი სურვილები“.[2]

ადამიანი, როგორც ერთის მხრით უფრო განვითარებული სახე ცხოვლისა, ხოლო მეორეს მხრით—სოციალურ ორგანიზაციის მქონე ცხოველი, რასაკვირველია, უფრო ძლიერ რეაქციას გამოიჩენდა გარეშე წრეზედ ბუნების მოვლენის შეგნების სურვილის მხრით. და თუ კი მდაბალ ცხოველთა შორის ინსტი-

*) იხ. „ისარი“ № 29

1) C. Darwin: The Descent of Man. იხილე სექცია მესამე თავისა: Belief in God—Religion. p. p. 144—147.

2) E. Reclus, L'Homme et la terre, p. p. 291—292.

№ 39

დავე რაღაც გულ-ცივობა ეტყობა. ჯერ ორჯელ ჰქონიათ სხდომა და ორჯელვე კაცის გაგზავნა დასჭირდათ, რომ კანონიერი რიცხვი შემდგარიყო. რა იქნება შემდეგ, ამასაც ვნახავთ. მხოლოდ თუ ახალმა ხმოსნებმა ასე განაგრძეს კრებებზე სიარული, წინანდელი ამბები განმეორდება, როცა რამდენჯერმე დანიშნულ კრების შეუდგენლობისა გამო მამასახლისს თავის ნებაზე უწარმოებია ქალაქის საქმეები. რწმუნებულთა სხდომები თვეში ერთხელ არის დანიშნული. ვისაც ვერ შეუძლიან თვეში 5—6 საათი მაინც შესწიროს ქალაქს, მაშინ უმჯობესია ეხლავე გამოაცხადოს უარი, რათა იმის მაგიერ სხვა [illegible] აირჩიონ. თორემ ჯერასფერი სამსახური იქნება ცარიელ სკამების ტარება, რომლის გამო ქალაქის საქმეები უფრო შეფერხდება.

როგორც იყო, ჩვეულებრივი კრება 13 თებერვალს შესდგა. ვიდრე ქალაქის მამასახლისს აირჩევენ, ამის მოვალეობას ასრულებს ბ-ნი მ. ვერმიშევი, რომელმაც კრება გახსნა. დაესწრო 10 ხმოსანი. ამ სადამოს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იყო განსახილველი, როგორც რიყის ნაპირების გამაგრება, შემოსავლიან წყაროს აღმოჩენა და სხვა. პირველად მამასახლისის ჯამაგირის რაოდენობა უნდა განესაზღვრათ. როცა საქმე თვით პირად მამასახლისს შეეხება, ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარეობს მისი მოადგილე. მოადგილედ არჩეული ბ-ნი ტერ-სარქისოვი კრებას არ დასწრებია და ჯერ არც დამტკიცებული ყოფილა ამ თანამდებობაზე, რისთვისაც ეს საკითხი შემდეგ კრებისათვის გადაიდო.

ქალაქის საყასბო იჯარით ყოფილა გაცემული, წელიწადში 1772 მან. იჯარას ვადა გასვლია. უნდა შეემუშავებინათ, ასევე იჯარით გაეცათ თუ თვით ქალაქს ეწარმოებინა. გამოირკვა, რომ ქალაქს ბეითალისათვის უძლევია დასახოც საქონლის გასასინჯი და შესამოწმებელი თვეში 30 მან. ბეითალს ფერშლისათვის მიუნდვია თვეში 10 მანეთი. ქალაქს ნამდვილი ცნობები არა ჰქონია, რამდენი საქონელი იხოცება. ბ-ნმა როსტომაშვილმა წინადადება შეიტანა ცალკე ბეითალის მოწვევის შესახებ, მაგრამ უპასუხეს, მთელი საკლავის შემოსავალი იმას მოუნდება და ქალაქი დღევანდელ ფინანსიურ მდგომარეობაში ამას ვერ შესძლებსო. სამჯობინაროდ სცნეს ისევ იჯარით გაცემა წინანდელ პირობებით.

შემდეგ აირჩიეს ქალაქის თვითმმართველობის სარევიზიო კომისია 3 კაცისაგან, რომელშიაც მოჰყვნენ: გ. თათუზოვი, ვ. როსტომაშვილი და ვ. პაატაშვილი.

რაც შუა რიყეში ქალაქმა დუქნები ააშენა, კალაპოტი ვეღარ იტევს მოზღვავებულ წყალს, გადმოდის ნაპირებზე და დიდი ზარალი მოაქვს. სხვათა შორის მთელი უბანი წაიღო და ჯერი ქალაქის საყასბოზე მიდგა. ეს ისეთი მწვავე საკითხია, რომ უმთავრესი ყურადღება ამას უნდა მიაქციონ და როგორმე უშველონ. ამ საგანზე ბევრი ითათბირეს. ბ-ნ როსტომაშვილის აზრით შეიძლება ორნაირად ეშველოს: ერთი დიდი არხი გაიჭრას თულავის თავიდან ბოლომდე და ამოვსების შემდეგ ყოველთვის ამოიწმინდოს ხოლმე და მეორე, რიყის წყლის გადაგდებით „ზასტაოს" ხევში, სადაც შეიძლება წყალი დაგუბდეს, გაკეთდეს ტბები, შემდეგ ნელ-ნელა გამოუშვან და ზაფხულში მოიხმარონ...

უცბათ ზარის ხმა შემოისმა. შუა ბაზარში ცეცხლი გაჩენილიყო, ყველანი იქითკენ გაემურენ და კრება მეორე დღისთვის გადაიდო. ცეცხლის ჩაქრობის საქმე სრულებით მოუწყობელია თელავში. არა მანქანებია, არც წყალია ხოლმე თავის დროზე. რაიმე ზომების მიღება შეუძლებელი ხდება. ამ საგანზე ხმა არავის ამოუღია. საკითხი კი მეტად საჭირ-ბოროტოა.

მეორე დღეს კიდევ იქონიეს მსჯელობა. როსტომაშვილის მეორე გეგმის ასრულება შეუძლებლად სცნეს. აირჩიეს კომისია 5 კაცისაგან, რომელმაც უნდა დაათვალიეროს რიყე, შეისწავლოს წყლის მიმდინარეობა და შეიმუშაოს, თუ რანაირად შეიძლება ნაპირების გამაგრება. კომისიამ თავისი მოსაზრება მეორე ჩვეულებრივ კრებაზე უნდა წარუდგინოს 13 მარტს. აგრეთვე აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა რაიმე ახალ შემოსავლიან წყაროს აღმოჩენა. კრების შემდეგ იქონიეს მსჯელობა ქალაქის შემოსავალ-გასავალზე, ქუჩების მოკირწყვლა-გასუფთავებაზე და სხვ. და დაავალეს თავმჯდომარეს, ამ საქმეების შეტანა მომავალ სხდომის განსახილველ საგნების სიაში.

**გურია.** კარგა ხანია, რაც აქ დაარსდა სავაჟო და საქალებო სკოლების ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი საზოგადოება. ამ საზოგადოებასთან ერთად შესდგა სცენისმოყვარეთა წრე, რომელმაც იკისრა წარმოდგენების მართვა ზემოხსენებულ მიზნისთვის. 14 თებერვალს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში გაიმართა პირველი წარმოდგენა. რუსულად ითამაშეს „Жертва за жертвой" დიაჩენკოსი, ქართულად კი—„ქალის ძალა". საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, რაც შეეხება წესრიგს, იგი არ იყო სავსებით დაცული. ქართულ პიესას უფრო სიცოცხლე ეტყობოდა.

ქალაქი ოზურგეთი რეაქციონერების, ხულიგანების და ჯაშუშების ბუდეა. რეაქციის დაწყებისათანავე აქ თავი იჩინეს ამ ვაჟბატონებმა. შარშან, თავისუფლების დროს, მათ ხალხისა ეშინოდათ, დღეს კი წელში გაიმართნენ, ყოყოჩობენ და ხმა მაღლა გაიძახიან: „სოციალისტები სოროებში ჩავაძვრინეთო".

სულ სხვა სურათს წარმოადგენენ სოფლები. აქ გლეხები ყოველ დღე იკრიბებიან და არჩევენ საზოგადო საქმეებს. თუმცა ციხეები ტუსაღებით აავსო, ეგზეკუციები ხშირია, მაგრამ გურულები მაინც მედგრად იცავენ თავიანთ პოზიციას. მათ არ აშინებთ არც ეგზეკუცია, არც ციხე და არც ზამთარი (უნდა შევნიშნოთ, რომ წელს ალაგ-ალაგ ძალიან დიდი თოვლი მოვიდა და საზოგადოთ ზამთარი სუსხიანია). გურული გლეხი ძალიან დაინტერესებულია თავის საქმეების მოწყობით. დიდი ხანია მან ბოიკოტი გამოუცხადა ცენტრალისტურ-ბიუროკრატიულ დაწესებულებებს და დღესაც განაგრძობს ამ ბოიკოტს, ამ [illegible] განახორციელეს უკიდურესი დეცენტრალიზმი. გურულ გლეხების წინაშე ცხოვრებამ წამოაყენა ბევრი სხვა და სხვა საკითხი, რაც გადაწყვეტას თხოულობს (საზოგადოების დემოკრატიზაციის შეხება). [illegible] თავის თავის უარყოფას გლეხებისათვის. მაშინ ხომ ბოიკოტს თავი უნდა დაანებონ, ამას კი გურული როდი იზამს.

სოფლებში შესდგა დემოკრატიული წრეები. ნაწილი გლეხებისა ჩამოშორდა ს.-დემოკრატიულ პარტიას და დაარსეს ცალკე წრეები. გლეხობის შეგნებულმა ნაწილმა ს.-დემოკრატების დამოუკიდებლად იკისრა საზოგადოების გაძღოლა. ს.-დემოკრატების კრებებს კარგა ხანია ესენი არ ესწრებოდნენ. ს.-დემოკრატებმაც, გაგვგონებათ, გლეხების ეს ნაწილი უპრალო დემოკრატებად მონათლეს და მათი პარტიიდან წასვლას (მათ რომ ჰკითხოთ, თვითონ განდევნეს) „პარტიის ჩამოყალიბება" უწოდეს. ასე ამ ნაირად „პარტია ჩამოყალიბდა", მაგრამ, ესდეკების საუბედუროდ, ისეთი გლეხი, რომელსაც ნამდვილ ს.-დემოკრატს ეძახდნენ, ე. ი. „ჩამოყალიბებულ პარტიის" წევრად რაცხდნენ, ძალიან ცოტა დარჩა. ეს, რასაკვირველია, ესდეკებისთვის არ იყო ხელსაყრელი. ამ ვაჟბატონებმა მოინდომეს დემოკრატიულ პარტიის მეთაურობაც. საჩქაროდ შეთითხნეს ვითომდა ახალი გეგმა მოქმედებისა და წარუდგინეს წრეებს. მაგრამ ერთი მითხარით ცენტრალიზმით გაჟღენთილი პროგრამები განა დააკმაყოფილებს გურულ გლეხებს? მათი მოქმედება ავტონომიურია. ბრძანებლობა, აპეკუნობა გლეხებმა დიდი ხანია უკუ აგდეს. ს.-დემოკრატების ცალმხრივმა მოძღვრებამ გურულ გლეხს ის ვერ მისცა, რასაც იგი ეძებდა. გურული გლეხი არის მებრძოლი და ამასთან ერთად კარგი ორგანიზატორი. იჩინა თავი თუ არა ხელმეორედ შეუსაბამობამ, გლეხებმა იმ წამსვე ორგანიზაციას მიმართეს. გლეხობის ნაწილმა შეჰკრა კავშირი და მესამედაც მოტყუებული რომ არ დარჩენილიყო, სამუდამოდ მოშორდა ს.-დემოკრატიულ პარტიას. რამოდენსამე სოფელში შეიწვიეს ს.-რევოლიუციონერების პროპაგანდისტი და გასაცხადეს ამ პარტიაში მუშაობის სურვილი. ეს მოხდა იმ სოფლებში, სადაც ხუთი თვის წინად ს.-დემოკრატიის გარდა სხვა პარტიის ხსენებაც-კი არ შეეძლო კაცს.

დაინახეს ეს თუ არა ეს ს.-დემოკრატებმა, ჩვეულებისამებრ მიჰყვეს ხელი ლანძღვა-გინებას. ქურდ-ბაცაცების, ყაჩაღების პარტია უწოდეს ს.-რევოლიუციონერებს. ერთ სოფელში ს.-დემოკრატმა (იქნება სოციალ-დემოკრატიც არ არის, მაგრამ თავის თავს ამ სახელს უწოდებს) შეხედა, რომ მოწინააღმდეგე პარტია გლეხობას თან და თან იზიდავს და მოთმინებიდან გამოსულმა მიმართა გლეხს და უთხრა: „ჩემი არ გჯერა, მაგრამ მოვა დრო და შენი თვალით შეხედავ რომ ს.-დემოკრატები სოციალიზმს დაამყარებენ, ს.-რევოლიუციონერების მეთაურები კი, რომლებსაც ქურდობა შესისხლ-ხორცებული აქვთ, სოციალიზმის დროს ფული თუ ვერ იშოვეს, ქათმის ბუდეზე კვერცხს არ დაგიყენებენო". დაუჯერებელი [illegible] არის, მაგრამ რა [illegible] ბრალია, თუ ასეთია შეგნება იმ გლეხობის ნაწილისა, რომელიც ჯერ კიდევ დაბრმავებული ჰყავს თვით შეუგნებელ ს.-დემოკრატიას.

**მგზავრი.**

# სასამართლო

## „კოლხიდის" საქმე სასამართლოში.

(წერილი ქუთაისიდან)

12 თებერვალს ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე „კოლხიდა"-ს სამეურნეო ამხანაგობისა. მოგეხსენებათ, იმ თავითვე „კოლხიდა"-ს ბევრი მტერი აღმოუჩნდა. ასეთები იყვნენ უმთავრესად ჩარჩები, რომელთაც ამხანაგობა ყოველთვის კრიჭაში ედგა. დღემდი ამხანაგობა იმერეთში აწარმოებდა ორ უმთავრეს სახალხო საეკონომიო საქმეს—ბამბისა და პარკისას. ამ აზრით ჰქონდა ორს ადგილას ბაღახვანში პარკის და ბამბის ფარდული, სადაც თავს უყრიდა ნაწარმოებს, ამუშავებდა და გზავნიდა საზღვარ-გარეთ და რუსეთში. დღეს ამხანაგობა თავის აპერაციებს აფართოვებს, ხელი მიჰყო მეურნეობის მესამე დარგს—მევენახეობა-მებაღეობას. ამისთვის განიზრახა თავის ბაღახვანის მამულზე ზედ მიკრულ ვარიჩკასეულის ბაღის შეძენა. ეს ბაღი კი იმის მოხუცებულ პატრონის უთაურობით ამ ბოლო დროს სულ გააავერანეს, საუკეთესო მცენარეულობა, რითაც ცნობილი იყო იგი მთელ იმერეთში, წაილ-წამოიღეს და ამ სამი წლის წინად პატრონიც გარდაიცვალა, მამული აქაურ საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული დარჩა და, რადგან მემკვიდრეებმა ვალის გადახდა აღარ ისურვეს, შარშან ბანკიც იძულებული იყო გაეყიდა იგი თავისა და სხვა კერძო ვალების გასასტუმრებლად. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილ მამულის შეძენა განიზრახა სამეურნეო ამხანაგობამ. მან მოლაპარაკება გამართა ამ მამულზე დანიშნულ აპეკუნთან.

შარშან ბანკმა ხელმეორედ დანიშნა საჯარო ვაჭრობა. ამ ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო „კოლხიდის" ერთმა წარმომადგენელმა, რომლის სახელზედაც ამხანაგობას უნდა შეეძინა ეს მამული. მაგრამ ამ დროს ბევრ მრუდ და მართალმა მყიდველ მებაღემ გააჰყიტა თვალები და ხვეწნა-მუდარით და მუქარითაც აშინებდნენ „კოლხიდის" ინტერესების დამცველთ. ბოლოს, ბევრის ვაი-ვაგლახის შემდეგ „კოლხიდის" წარმომადგენელმაც ყველა ოფიციალურად ცნობილი მევალე დააკმაყოფილა და კანონიერ ვაჭრობის დროს დაინარჩუნა ხსენებული მამული, რომელიც დაიმტკიცა კიდეც ნოტარიულურის წესით.

აი, ასე უბრალო და ნათელი იყო საქმის თავი და ბოლო. მაგრამ ქუთაისში ხომ არავითარი ნათელი, ჭეშმარიტი საქმე უხრიკოდ არ დაბოლოვდება. აღმოჩნდა ვიღაც „ბედის მაძიებელი" კასოვსკი, რომელმაც ხსენებულ მამულის თაობაზე დავა აუტეხა ამხანაგობას. 12 თებერვალს სწორედ ეს საქმე გაირჩა აქაურ სასამართლოში. ამ კასოვსკის საიდანღაც [illegible] ასი მან. „ლისტები" და მისთვის ვარიჩკა თავის მოვალეთ დაისახა. სასამართლოში საჩივარი შეიტანია, რომ „კოლხიდის" წარმომადგენელმა ბანკში ვაჭრობის დროს [illegible] მევალეები, ვაჭრობაში [illegible] რად უკანონოდ [illegible] მამული, რომელიც სამ-ოთხჯერ უფრო მეტად ღირსო. კასოვსკის, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის ამგვარ საქმეებში, ზურგს უკან სხვები ამოჰფარებოდნენ. ერთმა მათგანმა იმდენი სიცრუე ილაპარაკა მოსამართლის წინაშე, რომ „კოლხიდის" წარმომადგენელმა ვეღარ მოითმინა და «იმერული კლიაუზნიკობა» უწოდა მის ამგვარ უტიფარ მოწმობას.

მერე რა გამოირკვა თვით მომჩივნის მიერ დასახელებულ მოწმეების ჩვენებიდან? გამოირკვა, რომ «კოლხიდის» წარმომადგენელს სამართლიანად უცვნია ოფიციალურად «ლისტებით» და გირავნობის ფურცლით წამომდგარ მევალეების პრეტენზია, იმათ შუაკაცების დახმარებით მორიგებია, ნაღდი ფულით დაუკმაყოფილებია და შემდეგ სრულიად კანონიერის ვაჭრობით დაუნარჩუნებია მამული ამხანაგობისათვის. ამ ჩვენებას კასოვსკი იმ დღეს არ დაკმაყოფილდა და მოსამართლეს განუცხადა: გთხოვთ საქმე გადასდოთ, მეოთხე მოწმე, ბანკის თავმჯდომარე მელნიკოვი, მოიყვანოთ და ისე გაარჩიოთო. მოსამართლე სელეზნიოვი, თუმცა დარწმუნებულია, რომ ეს, როგორც აქ იტყვიან, «საკლიაოზნიკო საქმეა», მაგრამ დასთანხმდა და სხდომა 22 მარტისათვის გადასდო. ამნაირად, მესამედ გადაიდო ეს საქმე და სამი დღე დააკარგვინა როგორც მთელ გამგეობას, ისე მოპირდაპირეს და სხვა მოწმე.

**მახლობელი.**

# რუსეთი

✦ **ხმები მთავრობის ახალი განზრახვის შესახებ.** ამ ჟამად მთავრობა თათბირობს იმის შესახებ, თუ როგორ მოეპყრას მომავალ სათათბიროს და რუსეთის გაზეთების სიტყვით, სხვათა შორის შემდეგი მოხერხებული გეგმა შეუმუშავებია. თუ სათათბირო მედგრად გამოილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ იგი თავისი სახელით არ დაითხოვს იმას, არამედ წინ-და-წინ სახელმწიფო საბჭოს მოამზადებს და გამოაცხადებინებს, ამისთანა ცხარე და გატაცებულ სათათბიროსთან მუშაობა არ შეგვიძლიაო. მთავრობა ამ განცხადების შემდეგ დაითხოვს სათათბიროს და მიზეზს დათხოვნისას სახელმწიფო საბჭოს მოახვევს თავზე.

✦ **ბერ-მთავრის ილიოდორის მოწოდება.** სამღვდელოთა წრეში ცნობილმა მოღვაწე ბერმა ილიოდორმა შემდეგი გულის ამღვრევი მოწოდება გამოსცა შავ-რაზმელთა მიმართ: ზურგს უკან კი არ უნდა დაესხათ მტრებს, არამედ თქვენი წმინდა, ღვთიური საქმისათვის გულ-და-გულ უნდა ებრძოლოთ. ყველა დაბებში და ქალაქებში თქვენმა წარმომადგენლებმა მთელი ხალხის საყურადღებოდ უნდა გამოაცხადონ, რომ მომავალში თუ რევოლიუციონერები ხელმწიფის ერთგულ ქვეშევრდომთ სიკვდილით

---

ნქტების შეცდომამ გამოიწვია, დარვინის სიტყვით, რაღაც რელიგიის მსგავსი, ადამიანის ინსტინქტებისა და გონების შეცდომა, რასაკვირველია, უფრო რთულსა და უფრო ღრმა შეცდომებს გამოიწვევდა, თანახმად იმისა, თუ რამდენად უფრო რთული და ღრმაა ადამიანის ცდა და დაკვირვება გარეშე ბუნების წიაღთაშინა, თუ რამდენად მეტია აგრეთვე ადამიანის გონებრივი ენერგია ცხოველთა გონებრივ ენერგიაზედ. ნათქვამი სრული ჭეშმარიტებაა ყოველ შემთხვევაში ადამიანთა საზოგადოების პირველ-ყოფილ ხანათა შესახებ.

პირველ-ყოფილი ადამიანი გარემოცულია ბუნებით და იგი იმის მიდამოებში იბრძვის არსებობისათვის; მასზედ აგრეთვე მოქმედებს ათასნაირი მოვლენა: ცა, ცის მნათობნი, გარეული ცხოველები, შინაური ცხოველები, ტყე, მდინარე, ზღვა, აგრეთვე სხვა და სხვა მოვლენანი ბუნებისა, როგორც ჭექა-ქუხილი, ქარიშხალი, წვიმა, მიწის ძვრა და სხვა; ყოველსავე ამას ადამიანმა ანგარიში უნდა გაუწიოს. ამ ელემენტთა შორის ზოგი ისეთია, რომელსაც ადამიანი თავის სასარგებლოდ იყენებს, ზოგი ისეთია, რომლის მავნებელი გავლენაც მას ანადგურებს, ზოგიც კიდევ ისეთი, რომელიც უშუამდგომლოდ მოქმედებს მის ცნობის მოყვარეობაზედ—აშინებს მას ან აკვირვებს, უძრავს სიყვარულს, მშვენიერების გრძნობას, ან განუზომელობითა და სიდიადით ჩაუნერგავს გულში შესაფერ შთაბეჭდილებას. ამაზედ ადამიანის აზროვნებამა და გრძნობამ შესაფერი რეაქცია უნდა მოახდინოს. და ეს რეაქცია ისეთია, როგორიც არის თვით ხასიათი მოვლენისა. ამ გარეშე შთაბეჭდილებათა მრავალფეროვანობა ერთგვარ განწყობილებაშია ადამიანის გონებისა და გრძნობათა მათზედ რეაქციის მრავალ-ფეროვანებასთან, და ამ განწყობილებიდან გამომდინარეობს სხვა და სხვაობა იმ რელიგიოზურ სისტემებისა, რომელიც დაახასიათებს სხვა და სხვა ხალხის ცხოვრებას პირველ დასაწყისს ხანებში და ეხლაც კი, სადაც ხალხთა რელიგიის ურთი-ერთ შორის კავშირი და გავლენა ისე ხშირი და მჭიდრო არა ყოფილა.

მაგრამ თვით წარმოშობა ადამიანის რელიგიისა ერთის ძირიდან მოხდა. ეს ძირია საზოგადოდ განწყობილება ადამიანისა გარემოცულ წრესთან, როგორც არა ვთქვით,—მისი მისწრაფება შეიცნოს ბუნების საიდუმლოებანი. აქ ადამიანის ნერვიულ სისტემაში ფიზიოლოგიური პროცესები დიდ როლს თამაშობენ რელიგიის უპირველესს ელემენტის შექმნაში. ეს უპირველესი ელემენტია—იდეა სულისა, იდეა სხეულისაგან განშორებული და დამოუკიდებლად მცხოვრებ არსებისა, რომლის წარმოშობას ხელი შეუწყო სიზმარმა, ჰალლიუცინაციამ და სხვა ნერვიულმა მოვლენებმა,—იმავე ენერგეტიულმა პროცესებმა. სიზმრისა ან ჰალლიუცინაციის დროს მოჩვენებული შორეული არსება, ან რომელიმე მკვდარი კაცის სახე, მათთან ბაასი, მათთან ერთად სანადიროდ წასვლა ან რომელიმე მოქმედება, გამოღვიძების შემდეგ კი მსწრაფლი განქრობა ამ უცნაურ არსებათა,—მრავალი განმეორება ამგვარ მოვლენათა, რასაკვირველია, აფიქრებინებდა ადამიანს, რომ ადამიანი, ან სხვა რომელიმე ცოცხალი არსი მარტო მის მიერ ყოველ დღე ხილულ ელემენტისაგან, სხეულისაგან არ შესდგება. მისი სურვილი „მოვლენათა ახსნისა", რასაკვირველია, აფიქრებინებდა, რომ ერთი და იგივე ცოცხალი არსი ორის არსისაგან შესდგება. ერთი ჩვეულებრივი, ხილული, რომელიც მუდმივი არ არის და კვდება, მეორე კი მუდმივი, უკვდავი, რომელიც სხეულის სიკვდილის შემდეგაც კი ეჩვენება ხოლმე ადამიანს, რომელიც, მიუხედავად თავის სხეულის სიკვდილისა, კავშირს არა სწყვეტს ცოცხალ ადამიანებთან.

ამგვარად, შეიქმნა ცნება სულისა, და ერთხელვე შექმნილ ამგვარ ცნებისაგან წარმოსდგა მრავალ-ნაირი ცნება, რომელთაგანაც შემდეგ განვითარდა რელიგია იმ პირობათა მიხედვით, რა პირობებშიაც ვითარდებოდნენ ეს ცნებანი. თავდაპირველად ადამიანი აწერს სულის არსებობას იმ არსებებს, რომელთადმი იგი უფრო ჰხედავს თავის საკუთარ მსგავსებას. შემდეგ იგი იმ საგნებს ასულდგმულებს, რომელთანაც მას პირდაპირი კავშირი აქვს და რომელთაც შემოქმედი მიზეზი თავისი თავი ჰგონია, შემდეგ კი იგი მთელ ბუნებას ასულდგმულებს, რომელიც თავის მოქმედებით, მოძრაობით მასზედ რაიმე შთაბეჭდილებას ახდენს, და სხვა. საზოგადოდ, რა კი თავდაპირველად წარმოიშვა ცნება სულისა, ადამიანს აუცილებლად უნდა გაეყო მთელი ბუნება ორ ნაწილად—ნივთიერად და სულიერად, იმ ანალოგიის მიხედვით, რომელსაც იგი ჰხედავდა თავის არსებისა და ძალებისა და გარეშე ბუნების საგანთა და მოვლენათა შორის. და ეს ასეც მოხდა. პირველ-ყოფილმა რელიგიამ ანიმიზმის ფორმა მიიღო, როგორც ეს გამოიკვლიეს ოგიუსტ კონტმა და შემდეგ უფრო ვრცლად და მეცნიერულად—ედვარდ ტეილორმა.[3])

მაგრამ ჩვენ აქ რელიგიის ისტორია არ გვაინტერესებს. ჩვენი მიზანია დავამტკიცოთ უპირველეს ყოვლისა ის, რომ რელიგია, როგორც სხვა სოციალური ძალები, ძალაა, წარმოშობილი დამოუკიდებლად წმინდა ეკონომიურ ფაქტორისა, განვითარებული როგორც ეკონომიურ ისე სხვა საზოგადოებრივ მოვლენათა ზეგავლენით, მაგრამ აგრეთვე მათზედაც მომქმედი და დამოუკიდებელი ძალა, რომელსაც სხვათა შორის განუსაზღვრავს ადამიანის მსვლელობა ისტორიის გზაზე.

ანიმიზმის განვითარებამ დაჰბადა სხვა ფორმები რელიგიისა, როგორც ფეტიშიზმი, პოლითეიზმი და მონოთეიზმი, აგრეთვე მისი განვითარება განისაზღვრებოდა, გავიმეორებ, ყველა იმ პირობებით, რომელშიაც იგი ვითარდებოდა. იმ ქვეყნებში, სადაც საგანი, რომელსაც ასულდგმულებდნენ, მრავალ ფეროვანი იყო, განვითარდა პანდემონიზმი და შემდეგ პოლითეიზმი. იმ ქვეყნებში კი, სადაც ბუნება ერთ ფეროვანი იყო, თვალუწვდენელი უდაბნო, რომელზედაც მხოლოდ მზე და ვარსკვლავები აღმოჰრწყინდებოდნენ ხოლმე, უპირველეს ყოვლისა ნიადაგის ზეგავლენით მონოთეიზმი განვითარდა, როგორც, მაგალითად, არაბეთში და შემდეგ არაბების გავლენით ურიასტანში[5]), რომელიც არაბთა მონათესავე ხალხით იყო დასახელებული—სემიტებით. შესანიშნავი ინგლისელი მწერალი ვაინვუდ რიდი ამბობს: რატომ მოხდა, რომ არაბებმა შეჰქმნეს იდეა ერთის ღმერთისა და არა ბერძნებმა, რომელთა გონება გაცილებით მაღლა იდგა არაბებისაზედ? იმიტომ, რომ საბერძნეთის ქვეყანაში ბუნება იყო მრავალფეროვანი, არაბეთში კი ტიტველი, „ერთი" ბუნება,—ცის მნათობნი და ქვები. არაბეთში ამიტომაც იყო თაყვანისცემა ერთის ღმერთისა, აგრთვე მზისა და ქვისა. აბრაამი არაბეთიდან გამოვიდა და შეიტანა ქანაანის ქვეყანაში ერთის ღმერთის თაყვანის ცემაო. საზოგადოდ, საინტერესოა ამ მხრით იმისი წიგნის ერთი თავი სარწმუნოების შესახებ.[6])

**Bâton.**

[3]) იხილ. მისი: Cours de la philosophie Positive, t. V, LII ლექცია.

[4]) Taulor: Researches into tle early History of Mankid.

[5]) იხილე ამაზედ რეკლიუს L' Homme et la Terre, t. II. pp 90—91.

[6]) Winwood Reade: The Martyrdom of Man.

დასჯიან, თუ ხელმწიფე იმპერატორის და მართლმადიდებელ ეკკლესიის წმინდა სახელს შეაგინებენ, მათი წითელი რაზმების მოწინავე ბელადები უწყალოდ და საზარლად სიკვდილით დაისჯებიან. თქვენი ჯალათი მოღვაწენი არ უნდა იმალებოდნენ. ქვეყნის მოღალატე მსაჯულები თუ ჩაუვარდებიან ხელში და დაისჯებიან მათგან, ხალხი იმათ წვალებულ წმინდანიანთა რიცხვში ჩარიცხავს. შავ-რაზმელებმა დაჟინებით უნდა მოითხოვონ, რათა მათი გასამართლება მოისპოს. ისინი დიდებული პატრიოტი მოღვაწენი არიან და მათი გასამართლება საზიზღარი ბოროტმოქმედებაა.

იგივე ბერი ილიოდორი მეორე წერილში მოითხოვს გრ. ვიტტეს საჯაროდ სიკვდილით დასჯას შემდეგის სიტყვებით: „უთუოდ უნდა ჩამოარჩონ ეს ჩვენი სამშობლოს მოღალატე. უნდა ჩამოარჩონ მოსკოვის შუა-ალაგას წითელ მოედანზე. უნდა დარეკონ ზარი ივანე დიდის სამრეკლოზე, შეჰყარონ მთელი მართლ-მადიდებელი ხალხი და სარჩობელასთან დააყენონ ყველა მინისტრები. შემდეგ მოიყვანონ მტარვალი გრაფი ვიტტე, არა ებრაულ „ლაფსერდაკში" გამოწყობილი, როგორც მას ნამდვილად შეეფერება, არამედ თავის ბრწყინვალე მუნდირში და ყველა თავის ორდენებით და საგრაფო გვირგვინით შემკული. ყველა ეს იმისათვისაა საჭირო, რათა დაანახვონ მინისტრებს, რომ ვერც ერთი წარჩინებული მოღალატე მოხელე, რაც უნდა რჩეული იყოს იგი, ვერ გაექცევა სიკვდილით დასჯას. სამღვდელოებამ უნდა აკურთხოს ჯალათი დიდებულ პატრიოტულ საქმის შესასრულებლად. ჯალათი შემდეგ სახრჩობელაზე ჩამოჰკიდებს ჩვენ სამშობლოს მოღალატე გრაფს.

**„სოც.-დემოკრ.-„ბოლშევიკების" გადაწყვეტილება.** სოც.-დემ. „ბოლშევიკების" კონფერენციამ ქ. პეტერბურგში შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა: 1) „მენშევიკებს" სავსებით დაეკისრება პასუხის გება იმ განხეთქილებისათვის, რომელიც არჩევნების დროს ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მოხდა; 2) „მენშევიკების" მოლაპარაკება „კადეტებთან" სათათბიროში ადგილების მოსაპოვებლად ვაჭრობა იყო, და ეს ვაჭრობა პეტერბურგის პროლეტარიატის სურვილს ეწინააღმდეგებოდა; 3) „მენშევიკების" მოქმედება მეპარცხენეთა კავშირის წინააღმდეგ, მათ მიერ შექმნილი ამ საქმის ყოველნაირი დაბრკოლება, პროლეტარიატისათვის საზიანო იყო და კადეტების სასარგებლო. „ბოლშევიკებმა" გადასწყვიტეს „მენშევიკების" მთელი მოღვაწეობა სწერონ და გამოაქვეყნონ.

**ღვდელი—ავხორცობის მსახური.** სინოდმა განიხილა ამ ბოლო დროს პეტერბურგის საქმე ქალთა მონასტრის ღვდლის ტორბაევისა, რომელიც მონოზნებს ეკლესიის საკურთხეველში იტყუებდა, იქ თავის ავხორცობას იკმაყოფილებდა, საერო ქალებთანაც სამარცხვინო დამოკიდებულება ჰქონდა და სხვ. სინოდმა დამნაშავედ იცნო ბრალდებული ღვდელი, სამღვდლო ხარისხი აჰხადა და სასახურიდან გადააყენა.

**დეკანოზი ვოსტორგოვი მთავრობის საიდუმლო აგენტის როლში.** ამ ბოლო დროს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოსთხოვა გზათა სამინისტროს 71 უფასო ბილეთი რუსეთის ყველა რკინის გზებზე სამოგზაუროდ. ამ ბილეთის მქონეთ უფლება ეძლევათ რკინის გზებზე თავისთვის ცალკე ორთქლ-მავლებიც მოითხოვონ. სხვათა შორის ერთი ამგვარი ბილეთი ჩვენთვის კარგად ცნობილ დეკანოზ ვოსტორგოვისათვისაც მიუციათ, რომელიც აწნაირად იმგზავრებს რუსეთის იმპერიაში „საბნელეთო საქმეთა" გასაჩაღხავად.

## ღია წერილი

**ტფ. სავაჭრო სამრეწველო ამხ. «რექტიფიკაცი»-ის მუშებს.**

თქვენს ღია წერილში დ. ს. სარაჯიშვილის მთავარ გამგის ალ. ბ-ძე სარაჯიშვილის მიმართ „ისარი"-ს მე 33 №-ში გვწამებთ უღვდად საზიზღარს ცილს ჩვენ, სარაჯიშვილის ერევნის ქარხნის ადმინისტრაციას. სხვის გულში ხელის ფათური, მართლის, დღეს ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, მაგრამ მართებულება და სამართლიანობა მაინც უნდა გეხმარათ, რომ თქვენს ბრალდებას სიფრთხილით მოჰკიდებოდით. აშკარაა, აქედან წამოსულმა დეპუტატებმა შეგიყვანათ შეცდომაში, მაგრამ ეს მით უარესია თქვენთვის. რაღა თქმა უნდა, მეტად საქებურია დაჩაგრულ ამხანაგთა გამოსარჩლება, ჩვენც გიცხადებთ სრულს თანაგრძნობას, მაგრამ განა ამისათვის აუცილებელი იყო ჩვენი შეურაცხყოფა, ცილის დაწამება? უამისოდ კი ვერ მოუპოვებდით ერევნელ ამხანაგებს უფლებრივ და მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას? თითქმის არავინ თქვენგანი არ გვიცნობს ჩვენ, არასოდეს არავითარი დამოკიდებულება არა გქონია თქვენთან, რა სინდისი გაძლევთ ნებას, რომ რეაქციონერებად გვნათლავთ! სარაჯიშვილის რომელ მოსამსახურეთ გულისხმობთ, რომელთა შორისაც ცნობილნი ვყოფილვართ, როგორც რეაქციონერები? თუ სოც.-დემოკრატებს, განა სოც.-დემოკრატობა სავალდებულოა ყველა მოსამსახურისათვის, განა ვინც სოც.-დემოკრატი არ არის, რეაქციონერია?!

პირველი გაფიცვა აქ შარშან კი არა, შარშან-წინ 1905 წ. მარტის გასულს მოახდინეს, ქარხნის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, ამის შემდეგ თქვენ ჰფარავთ ორს შემდეგ გაფიცვას, ივლისისას და ოქტომბრისას, როდესაც ორივეჯერ შეუსრულდეთ ზოგიერთი მოთხოვნილება და ჯამაგირიც მოუმატეთ. იანვრის გაფიცვა რიცხვით მეოთხე იყო. ახლაც, სხვათა შორის, კიდევ ჯამაგირის მომატება მოითხოვეს. მე, ქარხნის გამგემ, სწორედ შეუწყნარებლად ვცანი ასე ხშირად ჯამაგირის მომატება, თუმცა თანახმა ვიყავ მომემატებინა ახლად აყვანილ და იმ მუშებისათვის ვისაც თვეში 30 მან. ნაკლები ჰქონდა ჯამაგირი. მანდ წამოსულ დეპუტატებს, მაგალითად, წილოსანს და ქეშიშ-ბოღოიანს, პირველ გაფიცვამდე ეძლეოდა თვრამეტი მან. თვეში (სულ კი 2 წელ. და 8 თვეა რაც მსახურობენ), ხოლო იანვრის გაფიცვამდე ეძლეოდათ პირველს თვეში 30 მან. და 30 კაპ., მეორეს 32 მანეთი, ე. ი. მოემატათ 70%. ამის შემდეგ შეუწყნარებელი და იყო მეოთხე გაფიცვა? გარწმუნებთ, არავითარი ბრძოლა არ გამოუცხადებიათ მუშებს და არც არავის გაუწევია წინააღმდეგობა მათთვის. ტფილისელ ამხანაგთა წახედვით და ჩვენის რჩევით, წარმოგვიდგინეს მოთხოვნილებანი ჩვენც დიდის სიამოვნებით დავთანხმდით და ავუსრულეთ ყველაფერი. ასე სასტიკის „ბრძოლით" მოპოვებულ მათ უფლებებს დღემდე არავინ არ შეჰხებია.

თქვენ ამბობთ: „თვრამეტი მუშა, რომელნიც დღემდე დღიურ ფულით საზრდოობდა (სტყუით, არც ერთი დღიური არ იყო, მათ შორის, 12 მუშა $2^1/_2$—15 წლამდე მსახურებენ ჩვენთან), პოლიციის შემწეობით ქუჩაში გამორეკეს და მათის მოვალეობის ასრულებას კანტორის მოსამსახურენი შეუდგნენ". საზიზღარი ცილის-წამებაა, ქუჩაში არავინ გაგვიგდია, პირიქით, ჩვენ სრულიად გამოუცხადეთ მუშებს და დავკმაყოფილდით მათის დაპირებით, რომ თვით ისინი დაიცავენ ქარხანას, ვიდრე მათი დეპუტატები, რომელნიც, ჩვენის რჩევით, გამოგზავნეს ტფილისში, დაბრუნდებოდნენ მანდედან. რაც შეეხება იმას, რომ კანტორის მოხელეებმა ვიმუშავეთ, ჩვენ ეს სრულიად პატიოსნურ საქციელად მიგვაჩნია და აი რატომ: გაფიცვა რომ მოახდინეს, ქარხანა მუშაობდა, არყის საწმენდი ქვაბი არყით იყო სავსე და საორთქლე ქვაბიც (ПОРОВОКЪ) სამუშაოდ გამზადებული; ვისაც ესმის ქარხნის საქმე, იმას ისიც ეცოდინება, რომ სიცივე-ყინვისაგან ქარხნის ათასგვარი მილები და ონკანები სულ ადვილად დასკდებოდა და ამით დიდს ზარალს მივაყენებდით ქარხნის პატრონს; ეს ჩვენ უსინდისო საქციელად მივიჩნიეთ და თქვენ, როგორც გნებავთ, ისე ჩასთვალეთ. მუშების მაგივრობას, თქვენც უნდა გესმოდეთ, ჩვენ ვერ გავწევდით.

დასასრულ მკითხველ საზოგადოებას აცნობთ ჩვენს პიროვნებას და ამბობთ: „პირველი გახლავთ თვით გამგე ერევნის ქარხნისა ივანე ნიკოლოზის ძე ზედგინიძე, რომელმაც მუშების ტყავის გაძრობით (?) საკმაოდ ჯიბე და მუცელი გაისქელა". ასეთს ურცხვს თავხედობას დღეს ხულიგნობას უწოდებენ და თუ პატიოსან მუშის სახელს ატარებთ, გიწვევთ სამედიატორო სამართალში, გაძლევთ 10 დღის ვადას, დღეიდან ამ წერილის დაბეჭდვისა და მოვითხოვთ ბრალდების დამტკიცებას. საქმის გარჩევა მოხდება ქ. ერევანში ჩვენის მხრით ვასახელებთ დუტუ მეგრელს და მიხეილ ივანეს ბადრიძეს. თქვენ მედიატორეთა ხარჯს იკისრებს მტყუანი მხარე. მათი განაჩენი აუცილებლად დაიბეჭდოს „ისარში".

გამგე ქარხნისა **ი. ნ. ზედგინიძე, ვ. ი. ფურცელაძე, ვ. მიხეილის ძე ციმაკურიძე.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 თებერვალი

**ლოძი.** სახ. სათათბიროს წევრები პარჩევსკი და პოპლავსკი ბერლინში მივიდნენ. ისინი მიიღო ლოძის ბამბეულობის ფაბრიკების კავშირის წარმომადგენელმა. კავშირს ეგონა, რომ დეპუტატებს ლოკაუტის შესახებ ამბის შეტყობა უნდოდათ, მაგრამ, როცა გამოირკვა, რომ იმათ სურთ შუამავლობა კავშირის და მუშებ შორის, კავშირის წარმომადგენლებმა, თანახმად წესდებისა, შესწყვიტეს ყოველ-ნაირი მოლაპარაკება. ეს ამბავი ლოძის დეპუტატმა წინადვე შეიტყო და ბერლინში წასვლაზე უარი განაცხადა.

**დვინსკი.** ერთ თორაში ბავშვებმა კრება გამართეს. როდესაც მოხუცმა მოსამსახურემ მათი გაფანტვა მოინდომა, ბავშვებმა დანით დასჭრეს.

**რეველი.** გუბერნატორის ნებართვით მოხდა ხელზე მოსამსახურეთა კრება, რომელსაც 2000 კაცი და ქალი დაესწრო. თავმჯდომარედ და კრების გამგედ ქალები იყვნენ. წამოაყენეს სხვა-და-სხვა მოთხოვნილება—დღეში რვა საათით მუშაობა, ჯამაგირის 50% მომატება, უქმე დღეებში დასვენება. დაადგინეს, დაარსონ პროფესიონალური კავშირი. წესდების შესამუშავებლად აირჩიეს კომისია ორის მამაკაცისა და თერთმეტ დედაკაცისაგან.

**სოსნოვიცი.** ბერლინში დაიჭირეს ორი უცნობი. ამათ პარტიის გადაწყვეტილებით სადგურის უფროსის თანაშემწის რუტკევიჩის მოკვლა უნდოდათ. რევოლვერები უპოვნეს.

**ელისავეტგრადი.** დაბა ალექსანდროვკაში დააპატიმრეს მატარებლით ახლად მოსული სამი კაცი. მათ რევოლვერები, პროკლამაციები და ნიღაბები უპოვნეს.

**პეტერბურგი.** სამხედრო ექიმი შრეიდერი შავი ჭირისაგან გარდაიცვალა. განსვენებულის გვამს დასწვავენ და ფერფლს განსაკუთრებულ ქურქელში შეინახავენ. ექიმი 41 წლისა იყო. ბევრი იმუშავა შავი ჭირის წამლის აღმოჩენაზე. იაპონიის ომის შემდეგ წელიწად ნახევარი მონღოლების ქოხებში დაჰყო, რომ ეს საშიში ავადმყოფობა უკეთ შეესწავლა. გაზეთები შრეიდერის ხსოვნას გრძნობიერ წერილებს უძღვნიან. აზრადა აქვთ, მეცნიერებისთვის წამებულ ადამიანის სახელობაზე განსაკუთრებული ფონდი დააარსონ და ამით საუკუნოდ ჰყონ ხსენება მისი.

**კრასნოიარსკი.** ქალაქიდან 20 ვერსის მანძილზე გლეხების მამულში აღმოაჩინეს ქვა-ნახშირის მდიდარი მადანი. მადანს იკვლევენ.

**სტამბოლი.** დაიწყეს მექქის რკინის გზის შენება.

**პეტერბურგი.** შესდგა მემარჯვენე გაზეთების წარმომადგენელთა კავშირი. კავშირში სატახტო ქალაქის და პროვინციის ჟურნალ-გაზეთები შევიდნენ. შეიკრიბა 12 წარმომადგენელი. თავმჯდომარედ აირჩიეს თავ. შახოვსკოი. დააარსეს ბიურო. გაზეთების გასასყიდად უნდა მოეწყოს საკუთარი არტელი.

**ბოსტონი** (ნიუ-იორკი). 1000 ფუთი დინამიტი აფეთქდა. ჯერ ჯერობით 15 მოკლულ კაცის გვამი იპოვნეს.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა რუზველტმა 100 დოლარი შესწირა რუსეთში დამშეულთა სასარგებლოდ.

**ლიბავა.** სასამართლომ გაარჩია რუსის კრეისერის მიერ გერმანელების სავაჭრო გემის „ტერა"-ს დაღუპვის საქმე. ეს ამბავი იაპონიის ომის დროს მოხდა. სასამართლომ გადასწყვიტა, რუსეთის ხაზინიდან გემის პატრონს მიეცეს 446,000 მარკა.

**სევასტოპოლი.** კასირს ფილიპოვს, რომელსაც 4000 მანეთი წაართვეს, სახლი გაუჩხრი ეს. იპოვნეს 900 მანეთი. უკვე გარდაიცვალნენ მძარცველების მიერ დაჭრილი ჟანდარმი და სადგურის დარაჯი, რომელნიც ფილიპოვს ახლდნენ.

**ელისავეტგრადი.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაარჩია საქმე ოდესაში მცხოვრებ იტალიის ქვეშევრდომ ქალის მარიამ ტედესკოსი, რომელსაც სტუდენტის ლუკაშევიჩის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. ეს საქმე რომანტიულ ნიადაგზე მოხდა ტედესკომ 6 ჯერ ესროლა ლუკაშევიჩს, მაგრამ ვერ მოარტყა. ნაფიც მსაჯულებმა ტედესკო გაამართლეს.

**მოსკოვი.** მოხდა ნოქართა საზოგადოების კრება. უნდა აერჩიათ თანამდებობის ახალი პირნი. ძველსა და ახალ წევრებ შორის ძლიერი ბრძოლა იყო. ძველები იცავდნენ საზოგადოებას, როგორც დაწესებულებას, რომელიც თავიანთ წევრებს სიბერის და უადგილობის დროს დახმარებას უწევს, ახლები, სოც.-დემოკრატიულ ტენდენციებით გაჟღენთილნი, სხვა პროფესიონალურ კავშირებთან ერთობას ქადაგებდნენ. არჩევნებს 1200 კაცი დაესწრო. სოც.-დემ, დამარცხდნენ. ისინი მხოლოდ სარევიზიო კომისიაში მოჰყვნენ. საზოგადოების გამგეობაში ისევ ძველები გავიდნენ.

**უფა.** საპატიმროს ინსპექტორი კოლმე რევოლვერით მოჰკლეს. ერთი მკვლელი მაჰმადიანმა მოვაჭრეებმა დაიჭირეს. იმან სთქვა, რომ რევოლიუციონურ ორგანიზაციის მიერ ვარ გამოგზავნილიო.

**კიევი.** სოფ. დზერჟგოვში საარყე დუქანი გაძარცვეს. წაიღეს 110 მანეთი.

**ბარცელონა.** 18 თებერვალს რესპუბლიკელებსა და იმათ მოწინააღმდეგეთა შორის შეტაკება მოხდა. დასჭრეს ერთი მძიმედ და რამდენიმე მსუბუქად.

**კიევი.** ლევინსონის სახლში აღმოაჩინეს სოც.-დემოკრატების სტამბა. წაიღეს 20 ფუთი შრიფტი, 700 პროკლამაცია და ბეჭედი.

**ბელგრადი.** მლადორადიკალების მეთაურებმა მინისტ-პრეზიდენტს პაშიჩს შეატყობინეს, რომ ერთი დღის შემდეგ სკუპშჩინაში ობსტრუქციას გავმართავთ, თუ მთავრობა არ დაგვაკმაყოფილებს პოლიციის ძალმომრეობისა გამოო.

**შვერინი.** შვერინს და ნეისტრელიციდან იტყობინებიან, რომ მეკლენბურგ-სტრელიცკის და მეკლენბურგ-შვერინის კონსტიტუციის დროს შესაფერად უნდა შესცვალონო.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეების გარდა.

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ს. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ალექსიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საზებით და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და ხაზებით.

**საღამოთი:**

**გ. ი. გელიშვილი** $6^1/_2$—$7^1/_2$.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ბალ.—26)

# გამოვიდა

ექიმ ბადრიძის წიგნი: **„ადამიანის სხეული ბრძოლა არსებობისათვის.**

ქუთაისი, კილაძის სტამბა, ფასი 15 კაპეიკი. (10—კვ.—2)

**საზოგადოების**

# საყურადღებოდ

**ვისაც უნდა** დააწერინოს არზა, თხოვნა, საჩივარი სასამართლოებში მისართმევად, შვილების სახელმწიფო ხარჯზე სკოლებში მისაღებად; **ვისაც უნდა** სალდათობის საქმეზედ თხოვნის შედგენა; **ვისაც უნდა** საჩივარი ან თხოვნა მისცეს ნამესტნიკს, გუბერნატორს; **ვისაც უნდა** თხოვნა მიართვას ხელმწიფეს ანუ მინისტრებს, **ვისაც უნდა გაეცაროს მეუღლეს—იმათ უნდა მიმართონ** ავლაბარში, ნუხისა და შემახის ქუჩების კუთხეში, საკუთარ სახლში **თ. ზ. ნანიძეს.**

მთხოვნელები მიიღებიან დილით 10—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

**ხელფასი ზომიერია.** (3—უ.—2)

# კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერისა

**გადმიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—72)

გაზეთი „წინ" გამოვა 16 თებერვლიდან.

**მიიღება ხელის მოწერა 1907 წ. ყოველ-დღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთზე**

**წელიწადი** **წ ი ნ** **მეორე**

გაზეთის ფასი: ერთის წლით—7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთი თვით—ქალაქში—70 კაპ., პროვინციაში—80 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 12—2 საათამდე. კვირა-უქმეობით 11—12 საათამდე.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კაპ., მეოთხეზე—10 კაპ.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ, редакція «ЦИНЪ».

**ხელის მოწერა მიიღება კანტორაში, ნიკოლოზის მოედანი, № 1.**

# საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**ლ სწორადი ჯეჯილი მეთვრამეტე**

1907 წელსაც გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

რადგან 1906 წელს გარემოებამ დაგვაბრკოლა და სრული წლის გამოცემა ვერ მივაწოდეთ ჩვენს ხელის მომწერლებს—1907 წლის ნომრებით შევუსრულებთ დანაკლისს ფასს გადაუხდელად და წლეულს ახალ ხელის მომწერლებს პირველი სამი ნომერი გაეგზავნებათ შარშანდელის გამოცემისა.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

**ხელის მოწერა მიიღება:**

ტფილისში—„წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების" კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101.) და თვით **ჯეჯილის** რედაქციაში (Артиллер. ул. № 5. возлѣ Кадетскаго Корпуса.).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ".

(4—უ.—3)

რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია წერეთლისა.


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.